

**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

წინამდებარე ცვლილება განპირობებულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტებიდან გამომდინარე. საქართველოს კონსტიტუციაში 2005 წლის 27 დეკემბერს შეტანილ იქნა ცვლილებები, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის პრაქტიკისა და შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე დასკვნებითა და იმ ახალი გარემოებებით, რომელშიც მოუწევს საქმიანობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

წინამდებარე კანონპროექტის მიზანია, არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის და განხილვის ვადისა და წესის განსაზღვრა, რომელსაც დაარეგულირებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი.“

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების აუცილებლობა გამოწვეულია საქართველოს ორგანული კანონის პროექტის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს კანონის პროექტის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტებიდან გამომდინარე, რომლებიც პარლამენტის მიერ განხილული და მიღებულია პირველი მოსმენით.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას და შესაბამისად, არ ადგენს მის ოდენობასა და გადახდის წესს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:**

კანონპროექტის მიმართება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ არის დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის მიმართ ასეთი რეკომენდაციები არ არის შემუშავებული.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუსავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ:**

ასეთი შეფასებები კანონპროექტს არ გააჩნია.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი პავლე კუბლაშვილი.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი პავლე  
კუბლაშვილი.